ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 119
22/07/2019

119-01-4-201907221810

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52–ე და 61-ე მუხლების, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^3–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების II თავის მე-5 მუხლის ,,ფ“ პუნქტის, მე-6 მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე და 123-ე მუხლების და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა მიერ ხელმოწერით დადასტურებული შინაგანაწესის პროექტის (24/06/2019 წ) საფუძველზე:

1. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შინაგანაწესი.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს.

3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 28 თებერვლის №97 განკარგულება.

4. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შინაგანაწესი ამოქმედდეს ამ განკარგულებაზე ხელმოწერის მომდევნო სამუშაო დღიდან.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

ირაკლი ჯიქია

სახელმწიფო რწუნებული - მ.შ.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია